

ქეთევან ერემაძე

მოსაზრებები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ – პასუხი დ. სულაქველიძის კომენტარზე

ქეთევან ერემაძე

*საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი,
სამართლის დოქტორი.*

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული ძალის შინაარსსა და ფარგლებს განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია (89-ე მუხლის მე-2 პუნქტი) და კანონმდებლობა საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ (“საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი, 43-ე მუხლის მე-8 პუნქტი). თუმცა პრაქტიკულად გადაწყვეტილება მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მისი აღსრულების შედეგები გადაწყვეტილების შინაარსის ადეკვატურია. ამ თვალსაზრისით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტური ქმედითობისთვის, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია მისი სწორად წაკითხვა, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ფიქრი მის ადეკვატურ აღსრულებაზე. ამ საკითხის გადაწყვეტა, ბუნებრივია, არ არის დამოკიდებული მხოლოდ აღსრულების ადრესატების უნარსა და შესაძლებლობაზე. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თავად გადაწყვეტილება რამდენად იძლევა მისი სწორად აღქმის შესაძლებლობას. ნებისმიერი გადაწყვეტილება ღირებულია ორი თვალსაზრისით – რა თქმა უნდა, არსებითი მნიშვნელობა აქვს სასამართლოს პოზიციის მართებულობას (ნორმის კონსტიტუციურობის საკითხის სწორად გადაწყვეტას), თუმცა არანაკლები მნიშვნელობა აქვს სასამართლოს პოზიციის საფუძვლიანობის ადეკვატურ დასაბუთებას. გადაწყვეტილებაში მოყვანილი პოზიცია და შესაბამისი არგუმენტაცია უნდა იყოს ცხადი, არაორაზროვანი, განჭვრეტადი, მასში უნდა იყოს ძალიან მკაფიო გზავნილები ნორმის არაკონსტიტუციურობის თუ კონსტიტუციურობის მიზეზებისა და საფუძვლების თაობაზე.

რამდენად არის თითოეული გადაწყვეტილება ასეთი და, შესაბამისად, რეალურად ქმედითი, ამის შეფასებას და ცოდნას სასამართლოსთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. პირველ რიგში, თავად საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა ჰქონდეს უნარი, სურვილი და შესაძლებლობა, დაინახოს, ცალკეულ შემთხვევაში, გადაწყვეტილებითვე გამოწვეული მისი აღსრულების პრობლემები, რათა სამომავლოდ შეძლოს მათი პროგნოზირება და დაძლევა.

თუკი სასამართლოში არ იქნება მზაობა, მოისმინოს საკუთარ გადაწყვეტილებაზე არსებული მოსაზრებები, მათ შირის, პირველ რიგში, კრიტიკული დამოკიდებულება, ის ვერ შეძლებს განვითარებას და ვერც სამართლის განვითარებას შეუწყობს ხელს.

ზოგადად, ნებისმიერ სფეროში განვითარებას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ზუსტად განსხვავებული მოსაზრებების არსებობა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, კრიტიკა. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების ქმედითობის პერსპექტივების აღქმისთვისაც ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს დისკუსიას მათ თაობაზე. ბუნებრივია, გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემების გააზრებისთვის ერთ-ერთი საუკეთესო შესაძლებლობაა პრაქტიკოსი იურისტების, მეცნიერების, ისევე როგორც საზოგადოების წარმომადგენლების მსჯელობა, შეფასებები გადაწყვეტილების თაობაზე.

ამ თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, სამართლის დოქტორის, ბატონი დავით სულაქველიძის გამომხატვრება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428, 447, 459 გადაწყვეტილებაზე. მის სტატიაში (“სისხლის სამართლის კანონის უკუძალის შესახებ მოქმედი ნორმის კონსტიტუციურობის საკითხისათვის”) გაანალიზებულია გადაწყვეტილებისა და მასზე არსებული განსხვავებული აზრების ცალკეული ეპიზოდები და გამოთქმულია პრობლემების გადაწყვეტის საკუთარი ხედვა. საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება შეეხება სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობას. სადავო საკითხის სირთულეს და მასთან დაკავშირებული პრობლემების არაერთგვაროვნებას მოწმობს თუნდაც ის, რომ გადაწყვეტილებაზე არსებობს სამი განსხვავებული აზრი. აღარაფერს ვამბობთ ამ საკითხთან დაკავშირებით ქართველი მეცნიერებისა და პრაქტიკოსი იურისტების მიერ გამოთქმულ არაერთ განსხვავებულ და ხშირ შემთხვევაში ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების არსებობაზე. ჩემი აზრით, დავით სულაქველიძის მიერ დამატებით გამოთქმული განსხვავებული პოზიცია კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის ნორმის პრობლემატურობას.

ვადასტურებთ ჩემს დიდ პატივისცემას ბატონი დავით სულაქველიძის მიმართ. მისი სტატია ღირებული და საინტერესოა, პირველ რიგში, იმ თვალსაზრისით, რომ მომცა დამატებითი შესაძლებლობა, კიდევ ერთხელ შევაფასო, შევამოწმო საკუთარი პოზიციის მართებულობა. თუმცა წინამდებარე სტატიაში საჭიროდ მივიჩნევ, ყურადღება გავამახვილო გადაწყვეტილებასა და განსხვავებულ აზრში მოცემულ რამდენიმე საკითხზე, რომელთა არამართებულობის დასაბუთებასაც ეთმობა ბატონი სულაქველიძის სტატია. შევეცდები უფრო მკაფიოდ წარმოვარჩინოთ შესაბამისი არგუმენტების საფუძვლიანობა, რა თქმა უნდა, არა იმ პრეტენზიით, რომ ეს ჩვენს მოსაზრებებს აუცილებლად დააახლოებს.

1. პირველ რიგში, შეფასებას მოითხოვს სტატიის ავტორის მოსაზრება სისხლის სამართლის პოლიტიკისა და ნორმის კონსტიტუციური კონტროლის საკითხების გამიჯვნის თაობაზე. მართალია, ის, ერთი მხრივ, წერს, რომ, ისევე როგორც სახელმწიფო, სისხლის სამართლის პოლიტიკაც შებოჭილია კონსტიტუციით პიროვნებასთან მიმართებაში, მაგრამ, იმავდროულად, მისი აზრით, “საკითხები, რომლებიც მოცემულ შემთხვევაში დავის საგანი გახდა, სინამდვილეში წარმოადგენენ არა სისხლის სამართლის ნორმის კონსტიტუციურო-

ბის საკითხებს, არამედ სისხლის სამართლის პოლიტიკის საკითხებს, რომელთა ამა თუ იმ სახით გადაწყვეტა უკავშირდება მოცემულ ეტაპზე ქვეყნის ცხოვრების მრავალ ფაქტორს, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გავლენას ახდენენ სამართლებრივ სისტემასა და მის ფუნქციონირებაზე...”.

მაშასადამე, დ. სულაქველიძის აზრით, სისხლის სამართლის პოლიტიკის რიგი საკითხების, მათ შორის, ხანდაზმულობის ვადისა და პირობითი მსჯავრის, ნორმატიული რეგულირება, კერძოდ კი, ამ სფეროში კანონმდებლობის ცვლა და მისი დროში მოქმედების საკითხი არ არის შეფასებადი კონსტიტუციურობის თვალსაზრისით. ასეთი მოსაზრება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს აღნიშნულ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების მართებულობას, რადგან მისი გაზიარების შემთხვევაში, სასამართლოს აღნიშნულ საქმეზე კონსტიტუციური სარჩელები საერთოდ არ უნდა მიეღო არსებითად განსახილველად.

ვერ გავიზიარებ ბატონი სულაქველიძის ამ მიდგომას. პოლიტიკური ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ამა თუ იმ სფეროში მისი კონკრეტული პოლიტიკის განხორციელების გამონახტულებია. ნებისმიერი მიმართულებით სახელმწიფოს პოლიტიკა (სისხლის სამართლის თუ სამართლის სხვა ნებისმიერ დარგში, ეკონომიკური, საფინანსო, სოციალური პოლიტიკა და სხვა) უამრავი შიდა თუ გარე ფაქტორით, ისტორიული კანონზომიერებებით, ხშირად მიზანშეწონილობით არის განპირობებული (ნაკარნახევი). შესაბამისად, ამ გადაწყვეტილებების უკან დგას კონკრეტული საჭიროება, აუცილებლობა, მოტივაცია. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე სფეროში, მათ შორის სისხლის სამართალში სახელმწიფოს პოლიტიკა შეიძლება გასცდეს კონსტიტუციის ფარგლებს. როგორც კი ამის შესაძლებლობას დაუშვებთ, გაჩნდება ცდუნება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე სფეროში, მათ შორის სისხლის სამართალში სახელმწიფოს პოლიტიკა შეიძლება გასცდეს კონსტიტუციის ფარგლებს. ზედმეტი და უხერხულია ამ მოსაზრების უსაფუძვლობის მტკიცება. როგორც კი ამის შესაძლებლობას დაუშვებთ, გაჩნდება ცდუნება, პოლიტიკური მიზანშეწონილებისა და აუცილებლობის მოტივით, უამრავი საკითხი გავიდეს კონსტიტუციით დაცული სფეროდან, რაც კანონზომიერად წარმოშობს ადამიანის უფლებების დამრღვევი გადაწყვეტილებების მიღების ალბათობას.

ბუნებრივია, მოქმედებს ხელისუფლების კეთილსინდისიერებისა და კონსტიტუციის შესაბამისად ქმედების პრეზუმფცია, მაგრამ თავისთავად კონსტიტუციური კონტროლის ინსტიტუტის არსებობა ხომ, პირველ რიგში, ზუსტად იმის აღიარებაა, რომ ნებისმიერმა ხელისუფლებამ შესაძლოა დაარღვიოს კონსტიტუცია. ეს ინსტიტუტი ზუსტად ასეთი უნებლიე შეცდომებისა თუ ხელისუფლების ბოროტად გამოყენების ცდუნების თავიდან აცილებისა და გამოსწორებისათვის არის შექმნილი.

ვინაიდან ნებისმიერი პოლიტიკური გადაწყვეტილება კონსტიტუციის ფარგლებში უნდა ჯდებოდეს, ყველა საკითხი, მათ შორის სისხლის სამართლის პოლიტიკის საკითხები, რომლებიც შემხებლობაშია ადამიანის უფლებებთან, შეფასებადია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.

ბუნებრივია, იმავდროულად, სასამართლოს მიერ ამა თუ იმ სფეროში გადაწყვეტილების მიღება არ ნიშნავს და არ უნდა იწვევდეს მის პოლიტიკაში ჩართვას (ჩარევას). სასამართლო

არ უნდა იღებდეს პოლიტიკურად მოტივირებულ გადაწყვეტილებებს, არ უნდა არღვევდეს ხელისუფლების დანაწილების პრინციპს.

“ხელისუფლების დანაწილების პრინციპის სრულად რეალიზაციაში ზუსტად სასამართლო ხელისუფლებას ეკუთვნის მნიშვნელოვანი როლი. ის, ერთი მხრივ, არის საშუალება ადამიანებისთვის, თავი დაიციონ ხელისუფლების თვითნებობისგან, მეორე მხრივ, თავად ხელისუფლების შტოებისათვის დამატებითი შესაძლებლობაა, უზრუნველყონ ერთიმეორის მოქმედება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში კონსტიტუციისა და კანონის სრული დაცვით. თუმცა, ბუნებრივია, ამის მიღწევა შეუძლებელი იქნება სასამართლოს მიერ საკუთარი უფლებამოსილების სრულად გამოუყენებლობის, ისევე როგორც მისი გადამეტების შემთხვევაში. ამიტომ მკვეთრად უნდა განისაზღვროს, სად გადის სასამართლოს უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების ზღვარი ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, ერთი მხრივ, მოითხოვს ხელისუფლების შტოთა ერთმანეთისგან დამოუკიდებლობას, მათი კომპეტენციების მკვეთრ გამიჯვნას. ამ მოთხოვნის ფარგლებში, ბუნებრივია, არც სასამართლოს აქვს უფლება, ჩაანაცვლოს საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლება, გადაწყვიტოს მათ კომპეტენციას განკუთვნილი საკითხები, გამოვლენილი უკანონობის შემთხვევაში საკუთარი მოსაზრებებით ჩაანაცვლოს პოლიტიკური ხელისუფლების გადაწყვეტილებები. სასამართლოს არა აქვს უფლება, თავს მოახვიოს სახელმწიფოს თავისი მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი უნდა იყოს ... პოლიტიკა. სასამართლოს ვალდებულებაა პოლიტიკური ხელისუფლების გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის ... შემოწმება, რაც პრინციპულად განსხვავდება თავად სადავო საკითხის სასამართლოს მიერ მოწესრიგებისგან. სასამართლო ამოწმებს და ადგენს კონსტიტუციის ... დარღვევის ფაქტს, რის საფუძველზეც შესაბამის კომპეტენტურ ორგანოს აქვს საკითხის ... კონსტიტუციის შესაბამისად გადაწყვეტის ვალდებულება. მაშასადამე, სასამართლო შემოიფარგლება სამართლის და არა პოლიტიკის საკითხის გადაწყვეტით, რაც თავისთავად ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარეობს » (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ოქტომბერიანი სესიის და ბესარიონ ზოიძის განხილვის განხილვის აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2009 წლის 27 აგვისტოს #1/2/434 გადაწყვეტილების მოტივაციის ნაწილთან დაკავშირებით).

უდავოა, რომ განსახილველი საკითხები წარმოადგენს სისხლის სამართლის პოლიტიკის საკითხებს, თუმცა ისიც უდავოა, რომ ეს საკითხები იმავდროულად კონსტიტუციით დაცულ სფეროს განეკუთვნება. სხვათა შორის, ამას არც სტატიის ავტორი უარყოფს. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის განმარტებისას, ის ხანდაზმულობის ვადებისა და პირობითი მსჯავრის მომწესრიგებელი ნორმების დროში მოქმედების საკითხს ხედავს კონსტიტუციით დაცულ სფეროში. გარდა ამისა, მთელი სტატია ზუსტად ამ საკითხების კონსტიტუციურობის პრობლემის შეფასებას, მეტიც - კონსტიტუციასთან შესაბამისობის მტკიცებას ეხება. ასეთ ფონზე გაუგებარია, რას ეფუძნება ბ-ნი სულაქველიძის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ეს სისხლის სამართლის პოლიტიკის ის საკითხებია, რომლებიც კონსტიტუციურობის თვალსაზრისით არ არის შეფასებადი, მისი სტატია ხომ ზუსტად ამ მოსაზრების უარყოფის მტკიცებულებაა.

მტკიცებას არ უნდა საჭიროებდეს, რომ ხელისუფლების ნებისმიერი ქმედების, მათ შორის, პოლიტიკურად ყველაზე გამართლებული, მომგებიანი და ეფექტური ქმედების განხორციელების დროსაც კი, აუცილებელია სამართალზე აპელირება, კონსტიტუციითა და კანონით თვითშეზღუდვა. ამ მოთხოვნის სისტემატურად და უპირობოდ დაცვა კანონზომიერად იწვევს ხელისუფლებაში სტაბილურობის, საზოგადოებაში კი სამართლიანობისა და ხელისუფლებისადმი ნდობის განცდას.

2. ბატონი სულაქველიძის აზრით, განსხვავებულ აზრს, რომელიც ეხება ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას, საფუძველი არა აქვს. მიმაჩნია, რომ ამა თუ იმ მოსაზრების (პოზიციის) უსაფუძვლობის მტკიცებისთვის აუცილებელია ამ პოზიციის გამამყარებელი ძირითადი არგუმენტების გაანალიზება და მათი შესაბამისი კონტრარგუმენტებით გაბათილება, რაც, ჩემი აზრით, სტატიის გაკეთებული არ არის.

ჩემი განსხვავებული აზრი ეთმობა იმის დასაბუთებას, რომ არსებობს გონივრული საფუძველი სსკ-ის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის არაერთგვაროვანი, მათ შორის, კონსტიტუციის საწინააღმდეგო შინაარსით განმარტებისთვის.

2.1. ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლოს მოტივაცია სადავო ნორმის კონსტიტუციურობის მტკიცებასთან დაკავშირებით ეყრდნობა სადავო ნორმით გათვალისწინებული ტერმინების «სასჯელი», «დანაშაულებრიობა», «დასჯადობა» ფართო განმარტებას, განსხვავებულ აზრში, პირველ რიგში, ყურადღება გავამახვილე ამ ტერმინების განმარტების შესაძლო ფარგლებზე. გავანალიზეთ, რამდენად ამოწურავენ და სრულყოფილად არეგულირებენ ისინი კონსტიტუციით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შინაარსს და, შესაბამისად, რამდენად ცალსახა შეიძლება იყოს მათი ერთმნიშვნელოვნად ფართო განმარტების ვალდებულება (როგორც ეს გადაწყვეტილებაშია მოცემული).

ამისთვის განვმარტე ცნებების «დანაშაული», «დანაშაულებრიობა», «დანაშაულებრიობის დაწესება», «სასჯელი», «დასჯადობა», «პირობითი მსჯავრი», «პასუხისმგებლობა» შინაარსი და შესაბამის საკანონმდებლო ნორმებზე დაყრდნობით წარმოვაჩინეთ კანონმდებლის არაორაზროვანი ნება დანაშაულისა და დანაშაულებრიობის, სასჯელისა და პასუხისმგებლობის, სასჯელისა და პირობითი მსჯავრის არაიდენტურობის თაობაზე.

ნიშნდობლივია, რომ სტატიის ავტორს, არ აქვს არც ერთი არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ შეიძლება და არ უნდა განიმარტებოდეს ეს ცნებები და ინსტიტუტები ისე, როგორც ეს განსხვავებულ აზრშია შემოთავაზებული.

ჩემი აზრით, კანონში გათვალისწინებულ ტერმინს თუ ცნებას კონკრეტული დატვირთვა და დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს. კანონის განჭვრეტადობის მოთხოვნის ფარგლებში დაუშვებელია ერთსა და იმავე კანონში იდენტური ურთიერთობების თუ ინსტიტუტების მოწესრიგებისთვის განსხვავებული ტერმინები და ცნებები გამოიყენებოდეს ან პირიქით, განსხვავებული შინაარსის ურთიერთობები და ინსტიტუტები ერთი ტერმინით ან ცნებით მოიხსენიებოდეს. შესაძლოა, სხვადასხვა ტერმინებით ან ცნებებით მოაზრებული ურთიერთობები თუ ინსტიტუტები შინაარსობრივად მოიცავდნენ ან ავსებდნენ ერთმანეთს, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, მათ შორის განსხვავების არარსებობისას, განსხვავებული სახელწოდებების შემოღებას, უბრალოდ, აზრი არა აქვს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ძალზე საფრთხილოა სხვადასხვა ტერმინების და ცნებების იდენტიურობის მტკიცება. თუკი დავუშვებთ ასეთ შესაძლებლობას, ეს ხელს შეუწყობს ერთგვარი ტერმინოლოგიური ქაოსის დამკვიდრებას, რაც დააბნევს როგორც პირებს, რომელთა მიმართაც უნდა მოხდეს ასეთი ნორმების გამოყენება, ისე სამართალშემფარდებელს, შექმნის საფუძველს განსხვავებული სამართალგამოყენებისთვის. ასეთ დროს კი შეცდომის დაშვების რისკი ყოველთვის არსებობს.

გარდა ამისა, ტერმინების და ცნებების ერთმანეთთან გაიგივება გულისხმობს რა მათ მიერ მოწესრიგებული ურთიერთობების და ინსტიტუტების აბსოლუტურად გაიგივებას, ამის დაშვება კანონზომიერად გამოიწვევს თავად ინსტიტუტების შინაარსის რღვევას, ეჭვქვეშ დააყენებს ცნებების ტრადიციული მნიშვნელობის სანდოობას. ყოველივე ეს შექმნის კიდევ უფრო მეტ პრობლემას კანონის განჭვრეტადობასთან დაკავშირებით.

ტერმინთა განმარტებამ მომცა საფუძველი, არ დავთანხმებოდი სასამართლოს პოზიციას იმის თაობაზე, რომ სადავო ნორმა მისი განმარტების შედეგად, კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის იდენტურ შინაარსს იძენს. ჩემი აზრით, სადავო ნორმა სამართალშემფარდებლის მიერ მისი მხოლოდ ასეთი განმარტების და გამოყენების ვალდებულებას ნამდვილად ვერ წარმოშობს. ამაზე, პირველ რიგში, თავად ნორმის ტექსტი არ მიუთითებს ერთმნიშვნელოვნად, მეტიც, მის სრულყოფილ განმარტებას საწინააღმდეგო დასკვნებამდე მივყავართ.

2.2. სტატიის ავტორის აზრით, “კონკრეტული ტერმინების მოუხსენიებლობა სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველ ნაწილში და ამ ნაწილის მეორე წინადადებაში არ ნიშნავს იმას, რომ ამით ვიწროვდება სისხლის სამართლის სფეროში კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოქმედების არეალი”. ის, გადაწყვეტილებაზე არსებული განსხვავებული აზრის ავტორის საყურადღებოდ, აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის შინაარსი ვერ განიხილება ამავე კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილისაგან იზოლირებულად, ისინი ერთობლიობაში უნდა იქნეს წაკითხული და გააზრებული, რაც, მისი აზრით, მთლიანად ხსნის პრობლემას, რადგან მე-2 მუხლის პირველ ნაწილში მოხმობილი ტერმინი „დასჯადობა“ მოიცავს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობასა და სასჯელთან დაკავშირებულ ყველა იმ საკითხს, რომელთაც შეიძლება შეეხებოდეს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი და სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილი.

სტატიის ავტორი ნამდვილად არ ცდება იმაში, რომ სსკ-ის მე-2 და მე-3 მუხლები ერთობლივად უნდა იქნეს წაკითხული, მაგრამ ზუსტად ამ ნორმების ერთობლივი წაკითხვა წარმოაჩენს მეტ პრობლემას სადავო ნორმის განჭვრეტადობასთან დაკავშირებით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში კანონის უკუძალის აკრძალვის პრეზუმფცია მოცემულია მე-2 მუხლში, ხოლო კანონისთვის უკუძალის დაშვების საგამონაკლისო შემთხვევები მე-3 მუხლში.

მნიშვნელოვანია მე-2 მუხლით დაცული სფეროს გარკვევა, მოცემულ შემთხვევაში კი იმის დადგენა, სისხლის სამართლის კანონის დროში მოქმედების ზოგადი წესი ვრცელდება თუ არა ხანდაზმულობის ვადებისა და პირობითი მსჯავრის მომწესრიგებელ ნორმებზე.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლით დადგენილი წესი, “დასჯადობა” ტერმინის მეშვეობით (განსხვავებულ აზრში მოცემულია ამ ტერმინის განმარტება), მოიცავს არა მხოლოდ ქმედების დანაშაულებრიობის და სასჯელის მომწესრიგებელ ნორმებს, არამედ ვრცელდება სხვა საკითხებზეც, მათ შორის, ხანდაზმულობის ვადებსა და პირობით მსჯავრზეც. კერძოდ, ამ ინსტიტუტებთან დაკავშირებით, მე-2 მუხლი ადგენს, რომ ხანდაზმულობის ვადებისა და პირობითი მსჯავრის მომწესრიგებელი ნორმების გამოყენებისას, მოქმედებს უკუძალის აკრძალვის პრეზუმფცია, ანუ სამართალშემფარდებელმა უნდა გამოიყენოს დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი კანონი.

სსკ მე-3 მუხლი, როგორც ეს სახელწოდებიდანაც გამომდინარეობს – “სისხლის სამართლის კანონის უკუძალა”, ეთმობა კანონის უკუძალის აკრძალვის ზოგადი წესიდან (მე-2 მუხლი) კანონისთვის უკუძალის მინიჭების საგამონაკლისო შემთხვევების განსაზღვრას. ამ მუხლში, პირველი ნაწილის მე-2 წინადადების გამოკლებით, კანონმდებელმა კონსტიტუციით მინიჭებული დისკრეციის ფარგლებში, განსაზღვრა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ სისხლის სამართლის რომელ კანონს უნდა მიენიჭოს უკუძალა.

მე-3 მუხლის პირველი ნაწილის პირველ წინადადებაში კანონმდებელი ადგენს ორ შემთხვევას, როდესაც სს კანონს უნდა ჰქონდეს უკუძალა. ეს შემთხვევებია: თუ კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს. ე.ი. სსკ-ის მე-2 მუხლისა და მე-3 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების ერთობლივად წაკითხვის შედეგად, დასახელებული ორი შემთხვევის გარდა, სს კანონს (მათ შორის, ხანდაზმულობის ვადების გაზრდის და პირობითი მსჯავრის დამძიმების შესახებ კანონებს) უკუძალა არა აქვს (ბუნებრივია, აქ არ ვეხებით უკუძალის დაშვების სხვა შემთხვევებს, რომლებიც გათვალისწინებულია მე-3 მუხლის დანარჩენი ნაწილებით).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ პირველი წინადადების მთავარი დანიშნულება არის უკუძალის მინიჭების საგამონაკლისო წესების დადგენა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ნორმაში არის ორი წესი – როდის აქვს კანონს უკუძალა და როდის – არა. ზოგადად, კანონის დროში მოქმედებასთან დაკავშირებით, სხვა გადაწყვეტა არც არსებობს – ნორმას ან ენიჭება მის ძალაში შესვლამდე არსებული ურთიერთობების რეგულირების უნარი ან არა.

რადგან კანონის უკუძალასთან დაკავშირებით ორი არჩევანია, ჩვენი აზრით, კანონმდებელს ჰქონდა შესაძლებლობა, განესაზღვრა მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც სისხლის სამართლის კანონს ენიჭება უკუძალა, როგორც გამონაკლისი უკუძალის აკრძალვის ზოგადი წესიდან, რითაც ავტომატურად დანარჩენი შემთხვევების მიმართ გავრცელდებოდა კანონის უკუძალის აკრძალვა. ზუსტად ასეთია კანონმდებლისადმი კონსტიტუციის მოთხოვნაც. მას უნდა დაედგინა მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც კანონს შეიძლება ჰქონდეს უკუძალა. ამ შემთხვევაში სსკ-ში გვექნებოდა გამჭვირვალე რეგულირება ამავე კანონის უკუძალის მინიჭება-არმინიჭების საკითხის გადასაწყვეტად. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ მე-3 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ურთიერთობებისათვის პირველი წინადადება საკმარისად ჩათვლილიყო კანონის დროში მოქმედების საკითხის გადასაწყვეტად,

რადგან პასუხი გაცემულია ორივე კითხვაზე – როდის უნდა ჰქონდეს კანონს უკუძალა და როდის არა.

ამ ნორმატიულ წესრიგს არღვევს მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება. აქ კანონმდებელი აკონკრეტებს ორ შემთხვევას, როდესაც კანონს არ შეიძლება ჰქონდეს უკუძალა, კერძოდ: თუ კანონი აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს. მაშასადამე, ეს ნორმა პირდაპირ მიუთითებს არა უკუძალის დაშვების შესაძლებლობებზე, როგორც ამას მე-3 მუხლის სახელწოდება მოითხოვს, არამედ უკუძალის აკრძალვის შემთხვევებზე. ამასთან, მას კანონის უკუძალის აკრძალვის ზოგადი წესისთვის შემოაქვს უკუძალის აკრძალვის სპეციალური, კონკრეტული შემთხვევები. ნორმის ასეთი ფორმულირება, ბუნებრივია, ავტომატურად არ იძლევა იმის ერთმნიშვნელოვნად მტკიცების შესაძლებლობას, რომ ამ ორი შემთხვევის გარდა, კანონს უკუძალა აქვს. თუმცა ნორმის სისტემური ანალიზი ამას არა თუ გამორიცხავს, არამედ პირიქით, ზუსტად ასეთი განმარტებისთვის იძლევა გონივრულ საფუძველს.

მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებაში მოცემულ შემთხვევებში კანონისთვის უკუძალის აკრძალვა ისედაც არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლით და მე-3 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით, იმ სხვაობით, რომ მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებაში აკრძალვის წრე დავიწროებულია. ის ეხება მხოლოდ ქმედების დანაშაულებრიობის დაწესებას და სასჯელის გამკაცრებას. შესაბამისად, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი სხვა კანონებისთვის, მათ შორის ხანდაზმულობის ვადის გაზრდის თუ პირობითი მსჯავრის გამკაცრების თაობაზე კანონებისთვის უკუძალის აკრძალვას ის არ მოიცავს.

ერთი შეხედვით, თავისთავად, ის რაც ამ წინადადებაში წერია, კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება, რადგან კონსტიტუციაც კრძალავს სასჯელის დამამძიმებელი და დანაშაულებრიობის დამდგენი კანონისთვის უკუძალის მინიჭებას. თითქოს პრობლემა არც ის უნდა იყოს, რომ სადავო ნორმა არასრულად არეგულირებს კონსტიტუციით დაცული კანონის უკუძალის აკრძალვის ფარგლებს, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი კანონისთვის უკუძალის აკრძალვას (მათ შორის, ხანდაზმულობის ვადებისა და პირობითი მსჯავრის დამამძიმებელი კანონებისთვის) მოიცავს სსკ მე-2 მუხლი და მე-3 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება. შესაბამისად, ამ საკითხების მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებაში სრულად გამეორების აუცილებლობის გარეშეც, კონსტიტუციით დაცული სფეროს ადეკვატური რეგულაცია სისხლის სამართლის კოდექსით ისედაც გათვალისწინებულია.

მაგრამ ასეთ ფონზე აბსოლუტურად გაუგებარი ხდება მეორე წინადადების შემოღების მოტივაცია. თუ ის ახალს არაფერს ამბობს და მხოლოდ ნაწილობრივ იმეორებს იმას, რაც ისედაც მოწესრიგებულია სისხლის სამართლის კოდექსით, მაშინ მისი არსებობა აზრს მოკლებული ხდება. ასეთ შემთხვევაში, გამოდის რომ უკუძალის მინიჭება-არმინიჭების საკითხის გადაწყვეტისას სამართალშემფარდებელი მისი ფარგლებით შებოჭილი არ არის. ეს ვითარება გვაფიქრებინებს, რომ ამ ნორმის ერთადერთი დანიშნულება ზუსტად იმაშია, რომ

ის ავიწროებს სისხლის სამართლის კანონის უკუძალის აკრძალვის სფეროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მის არსებობას, მით უფრო წესიდან გამონაკლისების დამდგენ ნორმაში, არანაირი დატვირთვა არა აქვს.

« როდესაც ზოგადი წესიდან გამონაკლისების დადგენა ხდება, მათზე ზოგადი წესის გავრცელებისთვის ადგილი აღარ რჩება. თუ გამონაკლის ურთიერთობებზე მოხდება ზოგადი წესის გავრცელება, ეს გამონაკლისი აღარ იქნება. ამიტომ ლოგიკურია, რომ, როდესაც კანონმდებელს შემოაქვს გამონაკლისები, ეს, იმავდროულად, ნიშნავს მის მიერ იმ ნების გამოხატვასაც, რომ ზოგადმა წესმა ამ შემთხვევებზე აღარ უნდა იმოქმედოს, გამონაკლისების ფარგლებში ზოგადი წესი ძალას კარგავს » (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ქეთევან ერემაძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2009 წლის 13 მაისის #1/1/428, 447, 459 გადაწყვეტილებაზე).

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებაში დადგენილია ორი წესი – პირველი ადგენს, რომელ შემთხვევებში არა აქვს კანონს უკუძალა, ხოლო მეორე, მუხლის სახელწოდების, მიზანმიმართულების და დანიშნულებიდან გამომდინარე, გულისხმობს, რომ ყველა დანარჩენ შემთხვევაში კანონს უკუძალა აქვს. მაშასადამე, უკუძალის აკრძალვის სპეციალური შემთხვევების დაკონკრეტებით გამოირიცხება დანარჩენ შემთხვევებზე უკუძალის აკრძალვა. ანუ სსკ-ის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების მიღმა დარჩენილი ნორმები მე-2 წინადადების წყალობით, უკუძალის აკრძალვის დაცვის გარეშე რჩებიან.

აუცილებლად გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებაც: მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს ორ წესს – როდის შეიძლება კანონს ჰქონდეს უკუძალა და როდის არა, ძირითადი სათქმელი მაინც არის კანონის უკუძალის აკრძალვის ზოგადი წესის ხაზგასმა. ასეთ ფონზე უფრო საგულისხმო ხდება სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების განსაკუთრებული დატვირთვა. როდესაც სისხლის სამართლის კოდექსში უკუძალის აკრძალვის ზოგადი წესის არსებობის პარალელურად საგანგებოდ ხდება უკუძალის აკრძალვის სპეციალური ნორმის დამატებით შემოღება, თვალსაჩინო ხდება კანონმდებლის ნება ამის აუცილებლობასა და სპეციალურ მოტივაციასთან დაკავშირებით.

მაშასადამე, ზუსტად ის ფაქტი, რომ უკუძალის აკრძალვა დაუკავშირდა ორ კონკრეტულ შემთხვევას, იძლევა შესაძლებლობას, ნორმა გონივრულად განიმარტოს როგორც კანონმდებლის ნების გამოხატულება, უარი ეთქვას სისხლის სამართლის სფეროში უკუძალის აკრძალვის კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებზე. ყოველ შემთხვევაში, სამართალშემფარდებელს მე-3 მუხლის კონსტრუქცია, დანიშნულება, სახელწოდება აძლევს საკმარის საფუძველს ასეთი განმარტებისათვის. ამის შედეგი არის ის, რომ ხანდაზმულობის ვადების გაზრდისა და პირობითი მსჯავრის დამძიმების შესახებ კანონებს შეიძლება მიენიჭოს უკუძალა. ნორმის ასეთი წაკითხვა კი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

ასეთ ფონზე, შეიძლება ითქვას, არ არსებობს კანონმდებლის ცალსახა ნება სისხლის სამართლის კანონის უკუძალის აკრძალვის ფარგლებთან დაკავშირებით. სამართალშემფარდებელს არა აქვს ერთმნიშვნელოვანი მითითება, როგორ უნდა მოიქცეს. თუ სამარ-

თალშემფარდებელი მიიჩნევს, რომ მეორე წინადადება მხოლოდ იმეორებს მე-2 მუხლს და მას დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს, მაშინ პასუხისმგებლობის დამამძიმებელი არც ერთი კანონი არ უნდა გამოიყენოს უკუძალით. ხოლო თუ მიიჩნევს, რომ მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებას დამოუკიდებელი და სპეციალური დატვირთვა აქვს (ასეთი ლოგიკის საფუძვლიანობა ზემოთ დავასაბუთეთ), მაშინ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამართალშემფარდებელს აქვს შესაძლებლობა, ნორმა კონსტიტუციის საწინააღმდეგო ვერსიით წაიკითხოს, გამოიყენოს და მისი ასეთი განმარტება კანონის (სისხლის სამართლის კოდექსი) შესაბამისი იქნება.

უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლოა ეს არგუმენტები ბატონი სულაქველიძისათვის მყიფე, არადამაჯერებელი და არასწორიც იყოს, მაგრამ მათი ნაკლოვანების მტკიცებისთვის, როგორც მინიმუმ, ამ არგუმენტების გამაბათილებელი, უფრო სარწმუნო, დამაჯერებელი არგუმენტები უნდა იყოს მოყვანილი. სტატიაში კი ამ არგუმენტაციის საპირწონედ ავტორი უბრალოდ მტკიცებით ფორმაში წერს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილისა და მე-3 მუხლის პირველი ნაწილის ერთობლივი წაკითხვის შედეგად სისხლის სამართლის კანონს უკუძალა არ მიენიჭება ზუსტად იმ ფარგლებში, რასაც ადგენს საქართველოს კონსტიტუცია. თუმცა სტატიაში არ არის პასუხი მთავარ კითხვაზე – რატომ და როგორ მიიღწევა ეს? რა იძლევა საფუძველს ამ ნორმების მხოლოდ კონსტიტუციის შესაბამისი შინაასით წაკითხვისთვის? რატომ გამოირიცხება მათი ისეთი წაკითხვის შესაძლებლობა, როგორიც მოცემულია განსხვავებულ აზრში?

ნიშანდობლივია, რომ სტატიის ავტორი დასახელებული პოზიციის მართებულობას ასაბუთებს კონკრეტული მაგალითებით. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს მაგალითები ნამდვილად ვერ გამოდგება იმის სამტკიცებლად, რისთვისაც ავტორს ისინი მოჰყავს, რადგან ისინი მხოლოდ იმის დემონსტრირებას ახდენენ, რომ როგორც კონსტიტუცია, ისე სადავო ნორმა ეხება და იცავს ნამდვილი უკუძალის საკითხებს და ვერ მოაწესრიგებს არანამდვილ უკუძალას, რასაც ჩვენც არ უარყოფთ.

3. დ.სულაქველიძის აზრით, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი კანონის უკუძალასთან დაკავშირებით კონსტიტუციური გარანტიები შეიძლება შეეხებოდეს მხოლოდ და მხოლოდ კანონით პირდაპირ, ცალსახად განსაზღვრულ და რეალურად არსებულ დასჯადობას, ამ უკანასკნელის ზომებსა და ფარგლებს, აგრეთვე დასჯადობასთან დაკავშირებულ შეღავათებსა თუ სხვა პრივილეგიებს, რომლებიც დანაშაულის ჩადენისას მოქმედი კანონით გათვალისწინებული იყო როგორც დანაშაულის ჩამდენი პირის გარდაუვალი, აუცილებელი უფლება და არა როგორც ისეთი სავარაუდო (სამომავლო) უფლება, რომლის მოპოვება და მომავალში რეალურად არსებობა დამოკიდებულია მრავალ სხვადასხვა, წინასწარ გაუთვალისწინებელ ფაქტორსა თუ გარემოებაზე, რომელთა გამოც აღნიშნული უფლება პირის სასარგებლოდ შეიძლება წარმოიშვას და შეიძლება არც წარმოიშვას. ამასთან, თუკი დანაშაულის ჩამდენმა პირმა კანონით გათვალისწინებული რიგი პირობების განხორციელების შედეგად უკვე რეალურად შეიძინა კანონით სამომავლოდ გათვალისწინებული უფლება რაიმე შეღავათზე ან სხვაგვარ სამართლებრივ პრივილეგიაზე, ამ მიმართებით შემდგომში მისთვის საუარესო საკანონმდებლო ცვლილების შემთხვევაში უკვე მოპოვებული შეღავათითა თუ პრივილეგიით სარგებლობის უფლება პირს ვერ შეეზღუდება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სულაქველიძე მიიჩნევს, რომ, თუკი ახალი კანონით ხანდაზმულობის ვადის გაზრდა და პირობითი მსჯავრის გამოყენებისათვის საჭირო პირობების დამძიმება დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ მოხდა მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო გასული წინა კანონით გათვალისწინებული ხანდაზმულობის უფრო მცირე ვადა, ანდა ასეთ პირს ჯერ კიდევ არ ჰქონდა შეფარდებული პირობითი მსჯავრი წინანდელი შეღავათიანი პირობების საფუძველზე, მათ მიმართ გავრცელდება ახალი კანონით დადგენილი პირობები. მისი აზრით, ამგვარი რამ არ შეიძლება ჩაითვალოს კანონის ნამდვილ უკუძალად, მისგან დაცვის გარანტიას არ ადგენს არც კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი და არც სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილი.

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, ისევე როგორც ჩემი განსხვავებული აზრი, პირველ რიგში, არაორაზროვნად მიუთითებს, რომ კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გარანტია ეხება მხოლოდ პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმების ნამდვილი უკუძალის საკითხებს. არანამდვილი უკუძალა არ არის კონსტიტუციის დაცვის ობიექტი და, შესაბამისად, მისი კონსტიტუციურობის შეფასებაც ვერ მოხდება. ამ თვალსაზრისით, არსებითი მნიშვნელობა აქვს ნამდვილი და არანამდვილი უკუძალის საკითხების სწორად გამიჯვნას, რათა ხელოვნურად არ გაფართოვდეს ან არ შევიწროვდეს კონსტიტუციის დაცვის სფერო. ეს საკითხი ვრცლად არის განხილული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში, რასაც მე სრულად ვიზიარებ, ამიტომ ამ საკითხზე დამატებით აღარ ვიმსჯელებ. ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ შემდეგ გარემოებაზე: ჩვენი აზრით, ამ თვალსაზრისით, ხანდაზმულობის ვადებისა და პირობითი მსჯავრის საკითხებისადმი ერთნაირი მიდგომა (როგორც ეს სულაქველიძის სტატიაშია მოცემული) არ იქნებოდა სწორი.

ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის ის, რომ უტყუარი მტკიცებულებების მოპოვებისა და, შესაბამისად, ბრალეულობის სწორად დადგენის შეუძლებლობის გამო, საკითხი ეჭვმიტანლის სასარგებლოდ წყდება უდანაშაულო პირის პასუხისგებაში მიცემის თავიდან აცილების მიზნით.

ხანდაზმულობის ინსტიტუტის არსებობა, “ერთი მხრივ, იმის აღიარებაა, რომ ობიექტური მართლმსაჯულების განხორციელება და სამართლიანი სასამართლოს ჩატარება გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ არაპრაქტიკულია, ვინაიდან საამისოდ აუცილებელ გარემოებებთან ერთად იკარგება მტკიცებულებები და მოწმეების ჩვენებები აღარ არის მყარი. მისი მიზანია იმისი სამართლებრივი უზრუნველყოფა, რომ სასამართლო არ იყოს ვალდებული, გამოიტანოს გადაწყვეტილება იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც ვადის გასვლის გამო ითვლებიან არასრულყოფილად. ამით კანონმდებელი უარს ამბობს საეჭვო მართლმსაჯულებაზე, პირის სასარგებლოდ წყვეტს საკითხს და ათავისუფლებს მას პასუხისმგებლობისაგან. მას შედეგად მოსდევს პირის უფლება, არ იქნეს მიცემული სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაში ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. ეს კი იმისი აღიარებაა, რომ დანაშაულებრივმა ქმედებამ დაკარგა შეფასებისუნარიანობის ის თვისება, რაც აუცილებელი იქნებოდა პირზე პასუხისმგებლობის დასაკისრებლად და მეორეც, სისხლისსამართლებრივი ქმედება, რომელიც დანაშაულად კვალიფიცირდება არა როგორც ფაქტობრივი სინამდვილის,

არამედ როგორც იურიდიული სინამდვილის ფაქტი, კარგავს თავის თვისობრიობას კონკრეტული პირის მიმართ. თუ არა ეს გარემოებანი, ისე ხანდაზმულობის გამო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას აზრი დაეკარგებოდა. სადაც სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ვალდებულება ქარწყლდება, არ შეიძლება ამ შემთხვევაში სუბიექტის სამართლებრივ მდგომარეობაში მომხდარი ცვლილება არ ჩაითვალოს მის უფლებად. ასეთ შემთხვევაში ნამდვილი უკუძალის გავრცელება პასუხისმგებლობისაგან უკვე გათავისუფლებულ პირზე იწვევს კანონის განჭვრეტადობის და სანდოობის უგულებელყოფას და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ასეთი კანონი კითხვის ქვეშ აყენებს კანონის შესაბამისად დამდგარ შედეგს – სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებული პირი გასამართლდეს და დაისაჯოს”. მეორე მხრივ, “როცა კანონმდებელი ისე ზრდის ხანდაზმულობის ვადებს, როდესაც ჯერ არ ამოწურულა ძველი კანონით დადგენილი ხანდაზმულობა, ეს შემთხვევა არ შეიძლება მივიჩნიოთ კონსტიტუციის დარღვევად... მართალია, ამ შემთხვევაშიც პირის უფლებრივი სფერო განიცდის გარკვეულ უარყოფით ზემოქმედებას იმით, რომ მის მიმართ ხანგრძლივდება სისხლისსამართლებრივი დევნა, მაგრამ ეს ნორმატიული სინამდვილე მართლდება სამართლებრივი უსაფრთხოების ინტერესებით. კანონმდებელი ამით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პირის სისხლისსამართლებრივი დევნისათვის არ არის საკმარისი ძველი კანონით დადგენილი ვადები. ვინაიდან სამართლიანი მართლმსაჯულება მოითხოვს ხანდაზმულობის განსაზღვრულ ვადებს, შეუძლებელია პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება მარტოდენ იმ საფუძვლით, რომ ძველი კანონით სხვა ვადა იყო დადგენილი. ვიდრე არ დასრულებულა ხანდაზმულობის ვადა, მანამ სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტს არ წარმოეშობა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მატერიალური უფლება. პირს ვერ ექნება იმისი კანონიერი მოლოდინი, რომ სახელმწიფო არ ან ვერ განახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში. ხანდაზმულობის ვადის ამოწურვამდე, პირს ვერ ექნება ლეგიტიმური მოლოდინი, რომ ის გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. ვადის ამოწურვამდე, ხანდაზმულობის გაგრძელება არ ხელყოფს პირის შესაძლებლობას წინასწარ განჭვრიტოს მისი ქმედების სამართლებრივი შედეგი. ქმედების სამართლებრივი შედეგების პროგნოზირების მხრივ, მდგომარეობა ხანდაზმულობის გაგრძელებამდე და გაგრძელების შემდეგ იდენტურია. შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის ამოწურვამდე, მისი გაგრძელება ვერ შელახავს პირის ლეგიტიმურ მოლოდინებს” (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428, 447, 459 გადაწყვეტილება).

რაც შეეხება პირობით მსჯავრს, მიუხედავად იმისა, რომ სადავო ნორმით მისი კონსტიტუციის შესაბამისად გადაწყვეტის საკითხთან დაკავშვრებით ჩემი და სასამართლოს მოსაზრებები განსხვავებულია, ჩვენი პოზიციები თანხვედრია იმ თვალსაზრისით, რომ პირობითი მსჯავრი გავლენას ახდენს პირის დასჯადობაზე, სასჯელის ყოფიერებაზე. პირობითი მსჯავრის არსებობა იძლევა იმის გარანტიას, რომ შეიძლება არ მოხდეს სასჯელის გამოყენება მისთვის დამახასიათებელი ტრადიციული ფორმით. როცა პიროვნებას სასჯელის მოხდის ნაცვლად პირობითი მსჯავრი ეკისრება, ეს, არაპირდაპირი გაგებით, სასჯელის შემსუბუქებაზე უფრო მეტი შელავათის მაჩვენებელია. კანონმდებელი ამ ნორმატიული დანაწესით დანაშაულის სუბიექტს აძლევს შესაძლებლობას, თავიდან აიცილოს სასჯელი. ამიტომ, “როცა პიროვნებას სასჯელის დაკისრებისას ესაუბრა ამ სასჯელის შემსუბუქების ის შესაძლებლო-

ბები, რაც მას ჰქონდა დანაშაულის ჩადენის დროს, ეს უნდა ჩაითვალოს სასჯელის გამკაცრებად, მიუხედავად იმისა, რომ ცალკე, განყენებულად აღებული სასჯელი, როგორც ნორმატიული მოცემულობა, შეიძლება იგივე დარჩეს” (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428, 447, 459 გადაწყვეტილება).

მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 11 სექტემბრის განჩინებაში ვკითხულობთ, რომ ყაზბეგის რაიონულ სასამართლოს პირობითი მსჯავრის გამოყენების უფლება არ ქონდა: “უსაფუძვლოა მოსამართლის მსჯელობა სსკ 63-64-ე მუხლებისთვის უკუძალის მინიჭების შესახებ, რადგან აღნიშნული ნორმები არიან ზოგადი ხასიათის, სსკ მე-3-ე მუხლი კი ეხება სისხლის სამართლის კოდექსის კერძო სამართლის ნაწილის ნორმებს, რომლებიც ამსუბუქებენ ან ამკაცრებენ სასჯელს”. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე მიიღო დაუშვებლად ცნობის გადაწყვეტილება. მის განჩინებაში ვკითხულობთ: «რაც შეეხება მსჯავრდებულთათვის დანიშნულ სასჯელს, იგი სამართლიანია და საკასაციო პალატა ამ ნაწილშიც იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებებსა და დასკვნებს» (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 14 იანვრის განჩინება #1013აპ). თავისთავად, საქმის დაუშვებლად ცნობის ფაქტით, უზენაესმა სასამართლომ მოახდინა იმის დეკლარირება, რომ სააპელაციო სასამართლოს პოზიცია, მათ შორის პირობითი მსჯავრის გამოყენების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, საკასაციო ინსტანციის მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკას შეესაბამებოდა.

ჩემი აზრით, პირობითი მსჯავრის გამოყენება პირის მიმართ ისეთივე ხარისხით ალბათობითია, როგორც სასჯელის კონკრეტული სახის მისჯა (მაგალითად, თავისუფლების აღკვეთის ამა თუ იმ ოდენობისა) ან პასუხისმგებლობისაგან საერთოდ გათავისუფლება. პირს სასჯელის ამა თუ იმ ზომისა თუ პირობითი მსჯავრის გამოყენების მიმართ აქვს თანაბარი მოლოდინი. ვინაიდან პირობითი მსჯავრი სასჯელის მოხდის ფორმაა, არსებითი (პრაქტიკული) მნიშვნელობა არა აქვს კანონით სასჯელის ოდენობა შემსუბუქდება (გამკაცრდება) თუ მისი მოხდის ფორმა, რადგან ეს უკანასკნელი საბოლოოდ სასჯელის მოხდის კონკრეტულ შინაარსს განაპირობებს. ამ ლოგიკით, უფლება სასჯელის დამამძიმებელი კანონის უკუძალით გამოყენების აკრძალვის თაობაზე უთანაბრდება უფლებას პირობითი მსჯავრის დამამძიმებელი კანონის უკუძალით გამოყენების აკრძალვის თაობაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირობითი მსჯავრის გამოყენებამდე მისი პირობების დამამძიმებელი კანონის უკუძალით გამოყენება წარმოადგენს ნამდვილ უკუძალას და ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

5. სტატიის ავტორი ასევე არ ეთანხმება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში და ჩემს განსხვავებულ აზრში გამოთქმულ პოზიციას სადავო ნორმის გამოყენების საერთო სასამართლოების პრაქტიკასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული აზრის მიხედვით, არსებული პრაქტიკა დამატებით მიუთითებს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის ბუნდოვანებასა და მის არაკონსტიტუციურობაზე, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, მართალია, ნორმა კონსტიტუციურია, მაგრამ საერთო სასამართლოების მიერ მისი სწორად განმარტების შემთხვევაში არ იქნებოდა მიღებული ის გადაწყვეტილებები, რომლებმაც ეჭვქვეშ დააყენეს დამამძიმებელი კანონისათვის უკუძალის მინიჭების აკრძალვის შეუქცევადობა, საერთო მიდგომა, რაზეც მე

და ჩემი კოლეგიის წევრები ვთანხმდებით, არის ის, რომ პრინციპულად არასწორია პოზიცია სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილზე გავრცელების თაობაზე. საქართველოს საერთო სასამართლოების მიდგომა კი ზუსტად ასეთია. მათ გადაწყვეტილებებში არაორაზროვნად არის დაფიქსირებული, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილით დაცულ სფეროს წარმოადგენს მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი და, შესაბამისად, პირობითი მსჯავრისა და ხანდაზმულობის ვადების მომწესრიგებელი ნორმები რჩება ამ მუხლით რეგულირების ფარგლებს გარეთ. ჩემი აზრით, დამაფიქრებელია, რომ ასეთია საკაცო ინსტანციის პოზიცია. ეს ნიშნავს მომავალში პრაქტიკის ზუსტად ასე განვითარების გარდუვალობას. ნიშანდობლივია, რომ უზენაესი სასამართლოს ეს პრაქტიკა ეხება ზოგად საკითხს. საქმე გვაქვს ზოგადი წესის გამოყენების, მისი განმარტების ფარგლების თაობაზე საერთო მიდგომის ჩამოყალიბებასთან, რაც განაპირობებს ნორმის ერთგვაროვან გამოყენებას ყველა ანალოგიურ შემთხვევაში. მაშასადამე, სასამართლოები გამორიცხავენ სადავო ნორმის ფართოდ განმარტებას (როგორც ეს გაკეთებულია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში და რასაც დ. სულაქველიძეც იზიარებს). როგორც ჩანს, ისინი ამ დროს არც სსკ-ის მე-2 მუხლის გამოყენებას მიიჩნევენ შესაძლებლად, რადგან ასეთ შემთხვევაში გამოიყენებდნენ არა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ ახალ კანონს, არამედ დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედ მსუბუქ კანონს, რაც მათ არ გაუკეთებიათ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაუგებარია, რაზე დაყრდნობით ამართლებს სულაქველიძე არსებულ პრაქტიკას. როდესაც ის სტატიაში, პრინციპში, არ ეთანხმება საერთო სასამართლოების პრაქტიკულად ერთადერთ არგუმენტს და არათუ შესაძლებლად, არამედ აუცილებლადაც მიიჩნევს უკუძალის მომწესრიგებელი ნორმების გავრცელებას სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილზეც (იმ ერთი გარემოების გათვალისწინებით, თუ საქმე გვაქვს კანონის ნამდვილ უკუძალასთან), უბრალოდ საფუძველი ეცლება მის პოზიციას ამ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისა და განსხვავებული აზრის უსაფუძვლობის თაობაზე.

გარდა ამისა, თუ სტატიის ავტორი საერთო სასამართლოების პრაქტიკას ამართლებს იმაზე დაყრდნობით, რომ კონკრეტული მოსარჩელების შემთხვევაში საქმე არ გვექონდა ნამდვილ უკუძალასთან, რაც ნიშნავს, რომ სასამართლოების მიერ საქმის განხილვის დროს მოქმედი კანონი უნდა გამოყენებულიყო, მაშინ რით ახსნის ის იმ გარემოებას, რომ ამ კონკრეტულ გადაწყვეტილებებს სასამართლოები მე-3 მუხლზე მითითებით იღებდნენ? თუ საქმე არა გვაქვს ნამდვილ უკუძალასთან, სსკ-ის არც მე-2 და არც მე-3 მუხლებზე მითითებას აზრი არ აქვს.

ჩემი აზრით, პრაქტიკის ანალიზი დამატებით მიუთითებს ნორმის არაგანჭვრეტადობაზე, რადგან არ არის ცალსახა პოზიცია ნორმის განმარტების ფარგლებთან დაკავშირებით. მართალია, არსებობს სადავო ნორმის სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილზე გავრცელების პრეცედენტი, თუმცა სააპელაციო და უზენაესი სასამართლოები არაორაზროვნად განმარტავენ, რომ მე-3 მუხლით დაცული სფერო არის მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი. სადავო ნორმის გამოყენებისას, სამართალშემფარდებელმა გადაწყვეტილება უშუალოდ კონსტიტუციაზე დაყრდნობით თუ არ მიიღო, მას უწევს არჩევანის გაკეთება სა-

დავო ნორმის აზრს მოკლებულ დებულებად გამოცხადებასა და იმ კანონისათვის უკუძალის მინიჭებას შორის, რომლისთვისაც უკუძალის მინიჭება აკრძალულია კონსტიტუციით.

მიმაჩნია, რომ ისეთი საკანონმდებლო რეგულაცია, რომელიც სამართალგამოყენებისას იწვევს უფლების დარღვევის რისკს, ეწინააღმდეგება კანონის სიზუსტისა და გამჭვირვალობის მოთხოვნას.

«როდესაც ნორმა სხვადასხვაგვარი (მათ შორის, როგორც კონსტიტუციის შესაბამისი, ისე მისი საწინააღმდეგო შინაარსით) განმარტების შესაძლებლობას იძლევა, სამართალშემფარდებელმა შესაძლოა მიაგნოს მისი განმარტების ყველა ან რომელიმე გზას. თუ ის ერთდროულად ხედავს ნორმის კონსტიტუციის შესაბამისი და მისი საწინააღმდეგო შინაარსით წაკითხვის შესაძლებლობას, ბუნებრივია, რომ ნორმა უნდა განმარტოს კონსტიტუციის შესაბამისად. თუმცა ნორმის ბუნდოვანება ზუსტად იმაში გამოიხატება, რომ ის იძლევა გონივრულ საფუძველს სხვადასხვა მოსამართლემ ის სხვადასხვა ვერსიით წაკითხოს. რა თქმა უნდა, თუ სამართალშემფარდებელი ნორმის გამოყენებისას მიიჩნევს, რომ მისი კონსტიტუციურობა საეჭვოა, მან უნდა იხელმძღვანელოს უშუალოდ კონსტიტუციით, მაგრამ ეს გარემოება ნორმის კონსტიტუციურობის პრობლემას ვერ მოხსნის.

უდავოა, რომ სამართალშემფარდებელს აქვს კონსტიტუციის შესაბამისად მოქმედების ვალდებულება, რომლის დარღვევაც იწვევს შესაბამის შედეგებს, მაგრამ ასეთი ვალდებულების არსებობა ვერ აბათილებს ნორმის არაკონსტიტუციურობას და ვერ ამართლებს არაკონსტიტუციური ნორმების ძალაში დატოვებას. ნორმის კონსტიტუციურობის საეჭვოობისას, უშუალოდ კონსტიტუციის გამოყენება საკმარისი გარანტია რომ იყოს, ნორმატიული აქტების კონსტიტუციური კონტროლის ფუნქცია აზრს დაკარგავდა.

თუ ბუნდოვანი ნორმა იძლევა გონივრულ საფუძველს მისი კონსტიტუციის საწინააღმდეგო შინაარსით წაკითხვისთვის, ის განჭვრეტადობის მოთხოვნებს ვერ პასუხობს და არაკონსტიტუციურად უნდა იქნეს ცნობილი. ასეთ დროს ვერც სამართალშემფარდებლის ვალდებულება - ნორმა განმარტოს კონსტიტუციის შესაბამისად და ვერც მხოლოდ კონსტიტუციის შესაბამისი პრაქტიკის არსებობა ვერ უზრუნველყოფს ნორმის კონსტიტუციურობას » (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ქეთევან ერემაძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2009 წლის 13 მაისის #1/1/428, 447, 459 გადაწყვეტილებაზე).